საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/58

ქ. ბათუმი 29 ივლისი, 2022 წ.

ბსუ-ს ფაკულტეტზე დარგობრივი დეპარტამენტის შექმნისა და ხელმძღვანელის დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს **,,ბსუ-ს ფაკულტეტზე დარგობრივი დეპარტამენტის შექმნისა და ხელმძღვანელის დანიშვნის წესი“**, წინამდებარე დადგენილების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე დარგობრივი დეპარტამენტის შექმნის, რეორგანიზაციისა და მათი ხელმძღვანელების დანიშვნის წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს №68 დადგენილება.**
3. დაევალოს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს 2022-23 სასწავლო წლის დაწყებამდე ამ დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის ინიცირება და განხორციელებული ღონისძიების შესახებ სამსახურებრივი ბარათების ბსუ-ს რექტორისათვის წარდგენა.
4. წინამდებარე დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში ,,იურიდიული ცნობარი“, ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“ და ,,აკადემიური საბჭოს აქტები“).
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს (დეკანებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, დარგობრივ დეპარტამენტებს), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის
N06-01/ 58 დადგენილების
დანართი N1

ბსუ-ს ფაკულტეტზე დარგობრივი დეპარტამენტის შექმნისა და ხელმძღვანელის დანიშვნის წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ ან უნივერსიტეტი) ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ან მომიჯნავე, მონათესავე, ერთმანეთთან მჭიდრო საგანმანათლებლო-სამეცნიერო კავშირში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტზე, დეკანის წარდგინებით მიღებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სასწავლო-სტრუქტურული ერთეული - **დარგობრივი დეპარტამენტი შემდეგ შემთხვევაში:**

ა) შესასრულებელი სამუშაო მოცულობა იქნება 1800 სააუდიტორიო საათზე მეტი;

ბ) დარგობრივი დეპარტამენტის შემადგენლობაში შევა ამავე ფაკულტეტის არანაკლებ 4 აკადემიური თანამდებობის პირი, მათ შორის 1 პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

2. **ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტების დასახელება/ჩამონათვალი უნდა აისახოს** ფაკულტეტის დებულებაში. დარგობრივი დეპარტამენტის მსგავსად სასწავლო-სტრუქტურული ერთეულია ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი.

3. ფაკულტეტის დებულების შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წევრთა შემადგენლობა მტკიცდება დეკანის წარდგინებით გამოცემული რექტორის ბრძანებით.

4. დარგობრივი დეპარტამენტის შექმნისას, ასევე ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე რექტორის ბრძანებით მტკიცდება დარგობრივი დეპარტამენტების (მათ შორის დეპარტამენტების ხელმძღვანელების) <u>განახლებული შემადგენლობა</u> (კონკურსების შედეგების/შრომით-სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით).

5. დარგობრივ დეპარტამენტს შეიძლება უხელმძღვანელოს პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა, ამავე დეპარტამენტის შემადგენლობიდან (გამონაკლისი დაიშვება დეკანის წარდგინებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით). დასაშვებია დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ზედიზედ არაუმეტეს 4 სასწავლო წლის განმავლობაში.

6. შესაძლებელია განხორციელდეს დარგობრივი დეპარტამენტების გაერთიანება ან დაყოფა, ფაკულტეტების რეორგანიზაციის ან შესაბამის ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან დამატების ან აკადემიური პერსონალის რაოდენობის/შესასრულებელი სამუშაო მოცულობის გაზრდის ან შემცირების შემთხვევაში.